საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

**სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო**

2014 წელი

# სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

თბილისი 2015

# შ ი ნ ა ა რ ს ი

**1. სააგენტოს სტატუსი და საქმიანობის სფერო** .......... 1
სააგენტოს სტრუქტურა და საკადრო რესურსები .......... 1
სააგენტოს ტერიტორიული ორგანოები: .......... 1
**2. კანონშემოქმედებითი მუშაობა** .......... 3
**3. საფინანსო საქმიანობა** .......... 5
**4. ტყის აღრიცხვა** .......... 8
ტყის ინვენტარიზაცია .......... 8
ტყის ფონდის მიწების კორექტირება .......... 8
ქონების რეგისტრაცია .......... 10
**5. ტყითსარგებლობა** .......... 12
სატყეო სამეურნეო გზები .......... 14
ტყის ფონდის მიწებით სპეციალური სარგებლობა .......... 15
**6. ტყის მოვლა-აღდგენა** .......... 16
მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები .......... 16
ტყის ხანძრები .......... 19
ტყის აღდგენა .......... 20
ტყის დროებითი სანერგეები .......... 20
ტყის გაშენება .......... 21
საკომპენსაციო ღონისძიებები .......... 25
**7. კანონაღსრულება და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევები** .......... 26
სამართალდარღვევათასტრუქტურა .......... 26
**8. მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა** .......... 30
**9. ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება** .......... 32
საკადრო პოლიტიკა .......... 32
სწავლებები და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა .......... 32
საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება .......... 33
საერთაშორისო თანამშრომლობა .......... 33
საზოგადოებასთან ურთიერთობა, ინფორმირებულობა და საზოგადოებრივი აქტივობები .......... 34

*დანართები*

- ✓ *ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ხელშეკრულებების შესახებ;*
- ✓ *ფერომონიანი მწერსაჭერების მონიტორინგის მონაცემები;*
- ✓ *კომლის წარმომადგენელთა რაოდენობა.*

## 1. სააგენტოს სტატუსი და საქმიანობის სფერო

2014 წელს ეროვნული სატყეო სააგენტო თავის საქმიანობას ძირითადად წარმართავდა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №25 ბრძანებისა და ეროვნული სატყეო სააგენტოს 2014 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.
სააგენტო მართავს ტყის ფონდს (1,895 ათასი ჰა) და ახორციელებს ტყის მოვლის, აღდგენის, ფიზიკური დაცვის ღონისძიებებს, ასევე ტყით სარგებლობის რეგულირებას და კონტროლს.

**სააგენტოს სტრუქტურა და საკადრო რესურსები**

სააგენტოს ცენტრალური აპარატი შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:

- ტყის აღრიცხვის დეპარტამენტი;
- ტყითსარგებლობის დეპარტამენტი;
- ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტი;
- ფინანსური დეპარტამენტი;
- იურიდიული დეპარტამენტი;
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ინფორმაციული ანალიზისა და მონიტორინგის დეპარტამენტი.

**სააგენტოს ტერიტორიული ორგანოები:**

- კახეთის სატყეო სამსახური;
- ქვემო ქართლის  სატყეო სამსახური;
- მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახური;
- შიდა ქართლის სატყეო სამსახური;
- სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური;
- იმერეთის სატყეო სამსახური;
- გურიის სატყეო სამსახური;
- რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახური.

**სულ სააგენტოში დასაქმებულია 869 თანამშრომელი, მათგან 83 - ცენტრალურ აპარატში, ხოლო 786 - რეგიონალურ სამსახურებში** *(დიაგრამა 1).*

*დიაგრამა 1. სააგენტოში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის დინამიკა*



## 2. კანონშემოქმედებითი მუშაობა

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ შემუშავდა რიგი მნიშვნელოვანი სამართლებრივ-ნორმატიული დოკუმენტები, რომელთა მეშვეობით გაუმჯობესდა და დარეგულირდა ტყითსარგებლობასთან, გარემოზე მიყენებული ზიანის განსაზღვრასთან, ხე-ტყის მოძრაობასა და ხე-ტყის დამზადების ლიცენზიებთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები. მათ შორის:

- ✓ ,,ტექნიკური რეგლამენტის „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- ✓ ,,საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.
- ✓ „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

სააგენტოს მიერ მომზადდა და წარედგინა სამინისტროს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტები:

- ✓ „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის), სამსახურებრივი პირადობის მოწმობისა და ლუქის ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 24 თებერვლის №104 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- ✓ „ტყეკაფის გამოყოფის, გახსნის, დახურვისა და გაუქმების აქტების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

სააგენტოს მიერ შემუშავდა და დამტკიცებულ იქნა:

- ✓ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანების პროექტი ,,საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“;
- ✓ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანების პროექტი „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის ფონდის აღრიცხვისა და ტყის მართვის გეგმის შედგენის, ტყის აღრიცხვის მოსამზადებელი და საველე სამუშაოების განხორციელების მიზნით ტექნიკური დავალების დამტკიცების შესახებ“;

- ✓ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანების პროექტი „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის ხარაგაულის სატყეო უბნის ტყის ფონდის აღრიცხვისა და ტყის მართვის გეგმის შედგენის, ტყის აღრიცხვის მოსამზადებელი და საველე სამუშაოების განხორციელების მიზნით ტექნიკური დავალების დამტკიცების შესახებ“;

## 3. საფინანსო საქმიანობა

2014 წლისათვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 8 810,0 ათ. ლარით.

აქედან, აპარატის ხარჯებისათვის დაიგეგმა - 5 310,0 ათ. ლარი, ხოლო სატყეო ღონისძიებებისათვის - 3 500,0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სააგენტოს დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა სულ 7 342,0 ათ. ლარი;

აქედან აპარატის ხარჯებისთვის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6014,9 ათ. ლარი, ხოლო სატყეო ღონისძიებებისათვის - 1326,8 ათ. ლარი.

სააგენტოს ფაქტობრივმა დაფინანსებამ სახელმწიფო ხაზინიდან შეადგინა **7 315,2 ათ.** ლარი (გეგმის 99,6%) (დიაგრამა 2). მათ შორის:

- 6003,6 ათ. ლარით - დაფინანსდა შრომის ანაზღაურების მუხლი (ხელფასი);
- 1 302,4 ათ. ლარი მიმართული იქნა სატყეო ღონისძიებებზე, მ.შ.:
    - ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებებისათვის - 562,7 ათ. ლარი;
    - ტყითსარგებლობის ღონისძიებები- 176,9 ათ. ლარი;
    - ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებები 547,7 ათ. ლარი;
    - ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები 15,1 ათ. ლარი;
- 9,2 ათ. ლარი - ,,საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად;

*დიაგრამა 2. ფაქტობრივი დაფინანსების დინამიკა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ათ. ლარებში (2005-2014 წწ)*



საბიუჯეტო სახსრების გარდა, სააგენტოს 2014 წელს დაგეგმილი ჰქონდა სხვა (საკუთარი) შემოსავლების სახით მიეღო **6 571,0 ათ. ლარი.**

აქედან 5 340,0 ათ. ლარი სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურეობებიდან და სხვა შემოსავლებიდან, ხოლო - 1 231,0 ათ. ლარი - დაფინანსების სხვა წყაროებიდან (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან გადმოცემული სახსრები).

ფაქტობრივად, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიღებულმა შემოსავლებმა 6 405,0 ათ. ლარი (სავარაუდო გეგმის 95,4%) შეადგინა (დიაგრამა 3) , მათ შორის:

- მომსახურების საფასურიდან (ხე-ტყის დამზადების ბილეთების გაცემიდან და სხვ.)-1 892,4 ათ. ლარი;
- ტყითსარგებლობის ხელშეკრულებებიდან (საკომუნიკაციო ანძების განთავსებისთვის ტყის ფონდის ტერიტორიაზე) – 2 510,9 ათ. ლარი;
- ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და სპეციალური ფირნიშების რეალიზაციიდან -50,82 ათ. ლარი;
- სხვა დანარჩენი (გარემოს ეროვნული სააგენტოდან გადმოცემული სახსრები) – 1231,0 ათ. ლარი;
- სხვა არაკლასიფიცირებული (ბანკის სარგებლის დარიცხვა) – 206,72 ათ. ლარი;
- მერქნული რესურსის რეალიზაციიდან -491,3 ათ. ლარი (2014 წელს ჩატარდა 16 აუქციონი, გაიყიდა 3141.9 კბმ მერქნული რესურსი (სოჭი - 2141,9 კბმ, ფიჭვი - 1 000 კბმ) 621 363 ლარად (საწყისი ფასი 522 039 ლარი);
- სხვა დანარჩენი - 21,9 ათ. ლარი.

*დიაგრამა 3. 2014 წლის საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა, ათასი ლარი.*
*შენიშვნა: აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს ფაქტობრივ მაჩვენებლებს ( 6405, ათ. ლარი).*



საკუთარი შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯები დაგეგმილი იქნა 8 360,0 ათ. ლარის ოდენობით. ფაქტობრივად, 2014 წლის გადასახდელებმა შეადგინა 6157,4 ათ. ლარი (გეგმის 73,7%). აქედან:

- შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 2 867,0 ათ. ლარი (გადასახდელების 46,6%);
- საქონელი და მომსახურებაზე - 2 554,5 ათ. ლარი (41,4%);
- სოციალური უზრუნველყოფისათვის - 24,6 ათ. ლარი (0,5%);
- სხვა ხარჯებისთვის (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები: დღგ, ქონების, მოგების და სხვ.) – 647,8 ათ. ლარი (10,5%);
- არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით - 63,5 ათ. ლარი (1%).

*დიაგრამა 4. 2014 წლის გადასახდელები საკუთარი სახსრებიდან (საკასო შესრულება, 6 157,4 ათასი ლარი).*



## 4. ტყის აღრიცხვა

**ტყის ინვენტარიზაცია**

2013 წელს დაიწყო და 2014 წელს დასრულდა ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბანის ტყის ინვენტარიზაციის ღონისძიებები 45 895 ჰა ფართობზე, რომელიც განახორციელა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია შპს ,,ჯეოლენდი“-მა. სააგენტოს მიერ განხორციელდა შუალედური შემოწმებები, ადგილზე იქნა გადამოწმებული სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესი და მათი თანხვედრა ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ჩატარდა წარმოდგენილი მართვის გეგმის საჯარო განხილვა, დაფიქსირებული შენიშვნების და რეკომენდაციების შპს ,,ჯეოლენდი“-ს მიერ გათვალისწინების შემდგომ შესრულებული სამუშაოები შეფასდა დადებითად და წარედგინება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს დასამტკიცებლად.

2014 წელს გამოცხადდა და ჩატარდა ტენდერი ხარაგაულის სატყეო უბანზე ტყის ინვენტარიზაციის მომსახურეობის შესყიდვაზე, აღნიშნულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,გეოგრაფიკი“-მა. დამთავრებულია ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები 46 724 ჰა ფართობზე, სააგენტოს მიერ განხორციელდა შუალედური შემოწმებები, ადგილზე იქნა გადამოწმებული სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესი და მათი თანხვედრა ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ჩატარდა წარმოდგენილი მართვის გეგმის საჯარო განხილვა, დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციების შპს ,,გეოგრაფიკი“-ს მიერ გათვალისწინების შემდგომ შესრულებული სამუშაოები შეფასდა დადებითად და წარედგინება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს დასამტკიცებლად.

შემუშავდა და სააგენტოს 2014 წლის 25 მარტის N13/36 და N13/38 ბრძანებებით დამტკიცდა ადიგენის, ახალციხისა და ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნებში ტყის ინვენტარიზაციის განსახორციელებელი სამუშაოების ტექნიკური დავალებები. ახალციხის სატყეო უბნის (საორიენტაციო ფართობი 33 500 ჰა), ადიგენის სატყეო უბნის (საორიენტაციო ფართობი 23 500 ჰა) და ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის (საორიენტაციო ფართობი 20 500 ჰა) ტყის ფონდის აღრიცხვისა და ტყის მართვის გეგმის შედგენის, ტყის აღრიცხვის მოსამზადებელი და საველე სამუშაოების განხორციელების მიზნით; მაისის თვეში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ახალციხისა და ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნების ტყის ფონდის ინვენტარიზაციის მიზნით, რომელიც არ შედგა და განმეორებით ტენდერები გამოცხადდა 2014 წლის 1 ივლისიდან (აღნიშნული ტენდერებიც ჩაშლილად გამოცხადდა ტენდერში გამარჯვებული პირების მიერ არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის გამო).

**ტყის ფონდის მიწების კორექტირება**

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების კორექტრებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს ის პრობლემა, რომ წლების განმავლობაში მზარდი პროცესია ტყის ფონდიდან ფართობების ამორიცხვის ტენდენცია.

ტყის ფონდის ფრაგმენტაცია ასევე გამოიწვია 2011 წელს მთავრობის დადგენილების მიხედვით დადგენილმა ტყის ფონდის საზღვრებმაც. თუმცა, ერთიანი ტყითსარგებლობის დაგეგმვის და მდგრადი ტყის მართვის განხორციელების ხელისშემშლელ ფაქტორად კვლავ სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების კორექტირება (ამორიცხვა) რჩება.
2006 წლიდან 2014 წლამდე სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხულია 13 000 ჰა-ზე მეტი ფართობი. ამასთან, დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს ამორიცხვის პროცედურები დამატებით 85 ჰა ფართობზე.
*ფართობების კორექტირების 2011-2014 წლების დინამიკა იხ. დიაგრამა 5.*

*დიაგრამა 5*

*2011-2014 წლებში ტყის ფონდიდან ამორიცხული ფართობები /ჰა/*




2014 წელს მიმდინარეობდა სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების კორექტირება და სახელმწიფო ტყის ფონდად დარეგისტრირება, მათ შორის:
სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - მომზადდა მასალები 16 62 ჰა. ფართობისათვის და გადაიგზავნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ტყის ფონდის საზღვრების კორექტირების მიზნით - აღნიშნული ფართობი დაკორექტირდა და სახელმწიფო ტყის ფონდს ჩაემატა - 16 62 ჰა.
ქვემო ქართლის რეგიონი - მომზადდა მასალები 4277 ჰა. ფართობისათვის და გადაიგზავნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ტყის ფონდის

საზღვრების კორექტირების მიზნით - სახელმწიფო ტყის ფონდს ჩაემატა - 753 ჰა; დარჩენილი ფართობები დამატებით გადაიგზავნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ტყის ფონდში ჩასამატებლად;
იმერეთის რეგიონი - მომზადდა მასალები 6262 ჰა. ფართობისათვის და გადაიგზავნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ტყის ფონდის საზღვრების კორექტირების მიზნით - აღნიშნული ფართობი დაკორექტირდა და სახელმწიფო ტყის ფონდს ჩაემატა - 4287 ჰა;
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი - მომზადდა მასალები 994 ჰა. ფართობისათვის, აქედან მასალები 41 ჰა. ფართობისათვის გადაიგზავნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ტყის ფონდის საზღვრების კორექტირების მიზნით ხოლო 953 ჰა. ფართობისათვის მასალების გადაგზავნა იგეგმება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ტყის ფონდის საზღვრების კორექტირების მიზნით;
გურიის რეგიონი - მომზადდა მასალები 269 ჰა. ფართობისათვის და იგეგმება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გადაგზავნა ტყის ფონდის საზღვრების კორექტირების მიზნით;
მცხეთა-მთიანეთის რეგიონი - მომზადდა მასალები 454 ჰა. ფართობისათვის და იგეგმება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გადაგზავნა ტყის ფონდის საზღვრების კორექტირების მიზნით.

ქონების რეგისტრაცია

გარდა აღნიშნულისა, სააგენტო ახორციელებს სატყეო შენობების სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებისა და სააგენტოსთვის სარგებლობით გადმოცემის პროცედურებს, რისთვისაც მიმდინარეობს საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადება და დასარეგისტრირებლად წარდგენა.
დღეისათვის დარეგისტრირებულია 5 შენობა რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში, 5 შენობა კახეთის რეგიონში (3 შენობის დასარეგისტრირებლად მიმდინარეობს მუშაობა) და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში - 5 შენობა-ნაგებობა;
განხორციელდა საჯარო რეესტრის მიერ დადგენილი სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების Shp-ფაილების დაყოფა, სატყეო უბნებად (46 სატყეო უბანი), სატყეოებად (287 სატყეო) და სამცველოებად (569 სამცველო) ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების სატყეო უბნებზე მიკუთვნება, შესაბამისი სახელმძღვანელო რუკების მომზადება;
განხორციელდა და ყოველდღიურად მიმდინარეობს ტყის კორომთა გეგმების მიხედვით ტყის ფონდის ფართობების საზღვრების დაზუსტება და კორექტირება.
2015 წელს დაგეგმილია მასალების მომზადება შენობების დასარეგისტრირებლად შემდეგ რეგიონებში:

- გურია - 4;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - 5;
- სამცხე-ჯავახეთი - 15;

- ქვემო ქართლი - 8;
- შიდა ქართლი - 5;
- იმერეთი - 16.

## 5. ტყითსარგებლობა

სააგენტოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ტყითსარგებლობის ორგანიზების სრულყოფა და ტყეებში მერქნული და არამერქნული რესურსებით რაციონალურად სარგებლობის რეგულირება.

**მერქნული რესურსით სარგებლობა**

2014 წელს მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილია 3110 სოციალური ჭრის ტყეკაფი 666 836,8 კბმ ხე-ტყის მისაღებად (მ.შ. I ხარისხის 30 587,5 კბმ, ხოლო II ხარისხის 636 249,3 კბმ მერქანი).

2012-2013 წლის მოქმედ ტყეკაფებში 2014 წლის დასაწყისისთვის ნაშთად რიცხული იყო 269 754 კბმ ხე-ტყე (მ.შ. 23 265,7 I ხარისხის, ხოლო 246 488,3 II ხარისხის).

სულ 2014 წლისათვის მერქანული რესურსის გასაცემმა მოცულობამ შეადგინა 936 590,8 კბმ (მ.შ. 53 853,2 I ხარისხის, ხოლო 882 737,6 II ხარისხის).

2014 წელს ხე-ტყის დამზადების ბილეთებით გაცემულია 566 242,7 კბმ ხე-ტყე (მ.შ. I ხარისხი 17 569,9 კბმ, II ხარისხი 548 672,8 კბმ).

2014 წელს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტებით ათვისებულია 503 363,4 კბმ ხე-ტყე (მ.შ. I ხარისხი 13 051,8 კბმ, II ხარისხი 490 311,6 კბმ).

2015 წლის დასაწყისისთვის გასაცემი ნაშთად დარჩენილია 253 279,0 კბმ ხე-ტყე (მ.შ. I ხარისხი 20 063,0 კბმ, II ხარისხი 233 216,0 კბმ). *(დიაგრამა 6 და 7)*

*დიაგრამა 6. I ხარისხის ხე-ტყის ათვისება*



*დიაგრამა 7. II ხარისხის ხე-ტყის ათვისება*




მერქნული რესურსით დაკმაყოფილების მიზნით განხორციელდა სააგენტოში შემოსული საბიუჯეტო ორგანიზაციების, ა(ა)იპ (სკოლა, ბაღი და სხვა) და საქართველოს საპატრიარქოდან მიღებული განაცხადებების საფუძველზე 37 932 მ3 II ხარისხის ხე-ტყის გამოყოფის სამუშაოების ორგანიზება, მათ შორის:

- საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს 8 970 კბმ. II ხარისხის მერქნული რესურსი.
- საბიუჯეტო ორგანიზაცია ს.ს.ი.პ და ა.(ა)ი.პ (სკოლა-ბაღი) გამოყოფილ იქნა - 25 786 კბმ.
- საქართველოს საპატრიარქოს მოთხოვნის საფუძველზე გამოიყო 1 229 კბმ მერქნული რესურსი:
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ადგილობრივ თვიმმართველ ორგანოებს გადაეცათ 1 947 კბმ. II ხარიხის მერქნული რესურსი.

განხორციელდა სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორების შუამდგომლობების საფუძველზე მოსახლეობის I ხარისხის მერქნული რესურსით უზრუნველყოფის შესაბამისად გამოიყო– 37 068,3 კბმ (დიაგრამა8). კერძოდ:

1. სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახური - 5 000 კბმ;
2. კახეთის სატყეო სამსახური - 3 440 კბმ;
3. სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური - 7 531 კბმ;
4. შიდა ქართლის სატყეო სამსახური - 3 500 კბმ;
5. იმერეთის სატყეო სამსახური - 279.3 კბმ;
6. გურიის სატყეო სამსახური - 1 300 კბმ;
7. მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახური - 571 კბმ;

8. რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური - 15 400 კბმ;
9. ქვემო ქართლის სატყეო სამსახური - 47 კბმ.

*დიაგრამა 8. მოთხოვნა I ხარისხის ხე-ტყეზე*




გადაუდებელი აუცილებლობით (ხანძრით, სტიქიური უბედურებით ან/და სხვა ფორსმაჟორული გარემოებით) გამოწვეულ შემთხვევების მიზნით მოსახლეობაზე დამატებით გამოიყო 1 251 კბმ. I ხარისხის მერქნული რესურსი, ასევე საქართველოს საპატრიარქოს მოთხოვნის საფუძველზე გამოეყო I ხარისხის 64 კბმ მერქნული რესურსი.

**სატყეო სამეურნეო გზები**

მერქნული რესურსის ათვისების მიზნით 2014 წელს დაპროექტებულია ტყეკაფამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზები 85,13 კმ-ზე, მათ შორის: ახალი გზა - 41,04 კმ, შესაკეთებელი - 44,09 კმ.

7 რეგიონში სულ მოეწყო/რეაბილიტაცია ჩაუტარდა 56,685მ-ზე სატყეო სამეურნეო გზა, მათ შორის მოეწყო ტყეკაფებთან მისასვლელი 26,645 მ ახალი სატყეო-სამეურნეო გზა; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 30,04 კმ სატყეო-სამეურნეო გზას;
ტყის ფონდიდან ამორიცხულ ფართობებზე და სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული და დასაწყობებულია - 2585,001 კბმ. მერქნული რესურსი, აქედან გაცემულია - 2441.211 კბმ.

**ტყის ფონდის მიწებით სპეციალური სარგებლობა**

მომზადდა და გაფორმდა კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებისათვის 168 ტყითსარგებლობის ხელშეკრულება, კერძოდ შპს ,,მაგთიკომი“ 61 ერთეული, შპს ,,ჯეოსელი“ 75 ერთეული, შპს ,,მობიტელი“ 32 ერთეული.შპს ,,მობიტელ“-თან 18 ერთეულ საკომუნიკაციო ნაგებობაზე ხელშეკრულება განხილვის პროცესშია.
2014 წელს გაფორმდა 28 სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის ხელშეკრულება.
2014 წლის სექტემბრის თვეში სსიპ სატყეო სააგენტოს მიენიჭა უფლება მინისტრის 2014 წლის 05 სექტემბრის № ი-532 ; 06 ოქტომბრის №ი-601 და 20 ოქტომბრის №ი-638 ბრძანებების შესაბამისად საპილოტე პროექტის ფარგლებში განეხორციელებინა 212 ჰა. ტყის ფონდის ფართობზე ,,სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრებით" დაამზადოს 11700 კბმ ხე-ტყე. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში სააგენტომ დღეის მდგომარეობით უზრუნველყო 15 ტყეკაფის გამოყოფა, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს 7619,68 კბმ-ს, საიდანაც მოჭრილ იქნა 3080,99 კბმ.
სააგენტოს თანამშრომლების მიერ გამოყოფილი ტყეკაფებიდან დამზადებული და გაყიდული იქნა 3 142,2 კბმ. I ხარისხის ხე-ტყე.

2015 წელს დაგეგმილია:

- მერქნულ რესურსზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ტყეკაფების გამოყოფა;
- ტყის ფონდის ტერიტორიაზე სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაცია;

## 6. ტყის მოვლა-აღდგენა

ტყეების თვითაღდგენისა და კვლავწარმოების თვისების მიუხედავად, მნიშვნელოვანია ტყის მოვლის, აღდგენისა და გაშენების ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს ტყით დაფარული ფართობების ზრდას, ბუნებრივი მოზარდ-აღმონაცენის შენარჩუნებას და სახეობრივი შემადგენლობის რეგულირება-გაუმჯობესებას.
წლების განმავლობაში არასწორი ტყითსარგებლობის შედეგად საქართველოს ტყის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი დეგრადირებულია, თუმცა წლების განმავლობაში სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ ხორციელდებოდა, ან მცირე მასშტაბებით ხორციელდებოდა ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები.
საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყნის ტყეების რაოდენობრივ და ხარისხობრივ გაუმჯობესებას და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას. მათგან ძირითადი მიმართულებებია:
ტყის მოვლა

- ✓ მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები;
- ✓ სატყეო პათოლოგიური გამოკვლევები;
- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები.

ტყის აღდგენა

- ✓ ტყის აღდგენა-გაშენება;
- ✓ ტყის დროებითი სანერგეების მოწყობა.

**მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები**

ბოლო 10 წლის მონაცემებზე დაყრდნობით სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ძირითადი ზიანის მომტანი მავნებელ-დაავადებებია:

მბეჭდავი ქერქიჭამია (სამცხე-ჯავახეთი)
ნაძვის დიდი ლაფანჭამია (გურია)
ბზის სიდამწვრე (სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, გურია, რაჭა)
წაბლის ქერქის კიბო (ენდოტეა) – (იმერეთი)

ქერქიჭამიების, ფოთლისა და წიწვის ისეთი მავნებლების გააქტიურება როგორებიცაა არაფარდა პარკხვევია, ოქროკუდა, ამერიკული თეთრი პეპელა, ფიჭვის პარკხვევია, ცქვლეფია, მოზამთრე მზომელები, ფიჭვის ქარციხერხია და სხვა, ზრდის ტყეებში მასიურ დაავადებათა კერების გაფართოებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების ალბათობას.
თუმცა აღსანიშნავია, რომ დაზუსტებული მონაცემები ტყეების სანიტარული მდგომარეობის შესახებ არ არსებობს, რადგან ბოლო წლების მანძილზე არ განხორციელებულა სრულფასოვანი შესწავლა ქვეყნის მასშტაბით.

გარდა ძირითადი მავნებელ-დაავადებებისა სატყეო სამსახურებიდან შემოსული სასიგნალო ინფორმაციის საფუძველზე ხდება კონკრეტული ტერიტორიების შესწავლა და დაზიანებების გამოვლენა.

2014 წელს სააგენტოს მიერ ამ მიმართულებით განხორციელდა გარკვეული სამუშაოები, კერძოდ: ადგილზე იქნა შესწავლილი კახეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში არსებული მუხნარების (თელავის, წინანდლის და სიღნაღის სატყეოები) და იმერეთის რეგიონში (თერჯოლის რაიონი სოფ. სკანდე) ფიჭვნარის მდგომარეობა, რის საფუძველზეც დაიგეგმა 2015 წელს განსახორციელებელი ღონისძიებები, ასევე, მცხეთა-მთიანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში (თბილისის მიმდებარედ არსებული ტყის ფონდის ფართობებზე) ფოთლოვანი კორომების მდგომარეობა.

გარდა ზემოაღნიშნული მცირე მასშტაბის შესწავლებისა, 2014 წლის განმავლობაში განხორციელდა გამოვლენილ მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის მასშტაბური ღონისძიებები:

- **მბეჭდავი ქერქიჭამიას წინააღმდეგ** - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალციხის, ასპინძა-ახალქალაქის, ადიგენისა და ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნების ტერიტორიაზე წიწვოვანი კორომებში (26267 ჰა) 2011 წელს განხორციელებული სატყეო-პათოლოგიური შესწავლის საფუძველზე განხორციელდა გამოვლენილი მავნებლის (მბეჭდავი ქერქიჭამია - *Ips typographus*) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ ბრძოლის ღონისძიებები დაიწყო 2011-2013 წლებში. 2011-2012 წლებში ბრძოლის ღონისძიებების მასშტაბი შედარებით მცირე იყო, ხოლო 2013-2014 წლებში ტერიტორიაზე განთავსებული იყო 5000-მდე ფერომონიანი მწერსაჭერი.

მავნებელთან ბრძოლის საუკეთესო შედეგის მიღების უზრუნველსაყოფად სააგენტოს მიერ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით დაიგეგმა აღნიშნული პროცესის გაგრძელება. კერძოდ: **2014 წელს ზემოაღნიშნული სატყეო უბნების ტერიტორიაზე** (დაახლოებით 19 000 ჰა) **განთავსებული იყო 4 696 ფერომონიანი მწერსაჭერი.** გამოყენებულ იქნა ფერომონიანი პრეპარატი (IPSOWIT®).მწერსაჭერების მონიტორინგი ხორციელდებოდა ყოველ 10 დღეში ერთხელ. აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით განხორციელდა 18 მონიტორინგი და შედეგების მიხედვით სულ განადგურებულია **4 835 800 ცალი** მავნე მწერი (დანართი 2).

განხორციელდა ჩატარებული სამუშაოებისა და წიწვოვანი კორომების მდგომარეობის შეფასებაც, აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შესუსტდა მავნებლის პოპულაცია და იკლო ხმობის ინტენსივობამ. შეფასების რეკომენდაციების მიხედვით დაიგეგმა 2015 წელს განსახორციელებელი ღონისძიებებიც (შესულია სააგენტოს 2015 წლის სამოქმედო გეგმაში).

- **მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მზომელების *(Erannis defoliaria, Operophtera brumata)* წინააღმდეგ** - თბილისის გარშემო არსებულ ტყის ფონდში გამოვლინდა ფოთლოვანი სახეობების მავნებლების მასობრივი გავრცელება. მავნებელი შეიმჩნეოდა ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის თეთრიწყაროს სატყეო

უბნისა და მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის მცხეთა-დიდგორის სატყეო უბნების ტერიტორიაზე - საპროგნოზო ფართობით 2000 ჰა.

2014 წლის მაისის თვეში შვეულმფრენის მეშვეობით დამუშავდა 1998 ჰა ფართობი მცხეთა-მთიანეთისა (748 ჰა) და ქვემო ქართლის რეგიონებში (1250 ჰა). ფოთლის მღრღნელი მავნებლების (მზომელა) წინააღმდეგ გამოყენებული იქნა ბიოლოგიური პრეპარატი ლეპიდოციდი სკმ. სააგენტოს მიერ ივნისის დასაწყისში შეფასებულ იქნა ღონისძიების შედეგები ორივე რეგიონში და ღონისძიების ბიოლოგიურმა ეფექტურობამ საშუალოდ 75% შეადგინა, რაც ბიოლოგიური პრეპარატის გამოყენების დროს საუკეთესო შედეგს წარმოადგენს.

- **ბზის კორომების მდგომარეობის შესწავლა** - უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში გამოვლინდა ბზის კორომების მასიური ხმობა ქვეყნის მასშტაბით (განსაკუთრებით აჭარასა და სამეგრელოში). მდგომარეობას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ ბზა *(Buxus Colchica)* განეკუთვნება წითელი ნუსხით დაცულ სახეობას და მისი მასობრივად ხმობა ბუნებრივი გავრცელების მთელ არეალზე, უდიდესი დანაკლისია როგორც ეკოლოგიური, ასევე კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით.

ბზის ხმობის ინტენსივობის დადგენის, ხმობის მიზეზების დაზუსტებისა და დაავადებასთან ბრძოლის მეთოდიკის (ოთხი მიმართულებით: პრევენცია, მანიპულაცია, აღმოფხვრა, აღდგენა) შემუშავების მიზნით დაიგეგმა სატყეო პათოლოგიური გამოკვლევა.

სააგენტოს მიერ რეგიონალური სატყეო სამსახურების მეშვეობით (სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, იმერეთი) გამოვლინდა კვლევას დასაქვემდებარებელი ტერიტორიები (საპროგნოზოდ 2079 ჰა). შემუშავდა ტექნიკური დავალება სატყეო-პათოლოგიური კვლევის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პრობლემა მასშტაბურ ხასიათს ატარებს და აღნიშნულის გადაწყვეტა მოითხოვს სხვადასხვა უწყებების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის (CENN) მხარდაჭერით ეროვნული სატყეო პროგრამის (NFP) ფარგლებში მოეწყო გაფართოებული შეხვედრა სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციების, ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით, სადაც განხილული იქნა განსახორციელებელი ქმედებების გეგმა. მიმდინაეობს კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში არსებულ სამეცნიერო დაწესებულებებთან შედეგიანი კვლევის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

შეხვედრებისა და კოორდინირებული მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა ბზის დაავადებაზე რეაგირების ეროვნული პროგრამა და შეიქმნა საკოორდინაციო ჯგუფი.

ასევე, პროგრამის ფარგლებში მოხდა ბზის თესლის შეგროვება თესლის ბანკის შექმნის უზრუნველსაყოფად.

**ტყის ხანძრები**

აღსანიშნავია, რომ 90-იანი წლებიდან არ განხორციელებულა ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები, რაც თავის მხრივ, ტყეებში ხანძრის წარმოშობის რისკებს ზრდის. აღნიშნულს ემატება დაუდევრობა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ტყეში ხანძრის წარმოშობის ძირითადი მიზეზები სწორედ ადამიანების გაუფრთხილებლობაა.

**2014 წელს ტყის ფონდის ტერიტორიაზე დაფიქსირებულ იქნა ხანძრის 69 შემთხვევა, 705,14 ჰა ფართობზე.**

*დიაგრამა 9. ხანძრით მოცული ფართობები რეგიონების მიხედვით*




უკანასკნელ წლებში ხანძრით მოცული ფართობების თაობაზე სტატისტიკური მონაცემები მოცემულია მე-10 დიაგრამაში.

*დიაგრამა 10. ხანძრით მოცული ტყის ფართობის (ჰა)დინამიკა*




**2014 წელს ტყის ხანძრების მართვის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა:**

- ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების სახეების, მოცულობების და ადგილმდებარეობების განსაზღვრა 9 რეგიონში.
- მომზადდა 500 ერთეული საინფორმაციო გამაფრთხილებელი ნიშანი, ხანძარსაშიში უბნების ტერიტორიაზე განსათავსებლად (ძირითადად მაღალი რეკრეაციული დატვირთვის მქონე ადგილები).
- შეძენილ იქნა პირველადი ხელის იარაღები (1800 ერთეული ნიჩაბი, ბარი, თოხი, ფოცხი (450 ერთეული თითო სახეობა)) თითოეული სატყეო სამსახურისთვის;
- გარემოსა და უსაფრთხოების (ENVSEC) 0მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა ტყის ხანძრების მართვის გეგმის შედგენის ინსტრუქციასა და ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნაზე;
- ამერიკის სატყეო სამსახურის (USFS) მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის ხანძრების მართვის გეგმის შემუშავებაზე.

**ტყის აღდგენა**

**ტყის დროებითი სანერგეები**

საანგარიშო პერიოდში მომზადდა 6 ტყის აღდგენის პროექტი 5 რეგიონში ტყის დროებითი სანერგეების მოწყობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის:

**კახეთი**

- აკაციის დროებითი სანერგე და პლანტაცია (ახალსოფლის სატყეო კვარტალი N102, ლიტერი N5,6,10) 6,6 ჰა - აკაციის ნერგების მისაღებად მოეწყო სანერგე 0,1 ჰა ფართობზე, ფართობი შეიღობა (6,6 ჰა) და მომზადდა ნიადაგი, შეგროვდა აკაციის თესლი და 2015 წლის გაზაფხულზე განხორციელდება თესვა. სანერგეში მიღებული ნერგები 2016 წელს გადატანილ იქნება მიმდებარედ 6,5 ჰა ფართობზე და მოეწყობა პლანტაცია;
- წაბლის ტყის დროებითი სანერგე - ბაისუბნის სატყეოს კვარტალი N26-ის ლიტერ N22-23-ის 0,3 ჰა ფართობი შეიღობა, დამუშავდა ნიადაგი და დაითესა 840 კგ წაბლის თესლი.

**მცხეთა-მთიანეთი**

ჭოპორტის სატყეოს კვარტალი N21-ის ლიტერ N2-ში 0,3 ჰა ფართობი შეიღობა, მომზადდა ნიადაგი და დაითესა: ნეკერჩხალი მინდვრის (28 კგ), ღვია (12 კგ). პროექტით გათვალისწინებული შავი ფიჭვის (12 კგ) დათესვა და 400 ცალი ღვიის კალმის დამზადება განხორციელდება 2015 წლის გაზაფხულზე.

**სამცხე-ჯავახეთი**

ბაკურიანის სატყეოს (ყოფ. ციხისჯვარი) კვარტალი N11-ის ლიტერ N10-ში 0,17 ჰა ფართობი შეიღობა, მომზადდა ნიადაგი, კავკასიური ფიჭვის (6 კგ) დათესვა განხორციელდება 2015 წლის გაზაფხულზე.

**იმერეთი**

ცხუნკურის სატყეოს კვარტალი N16-ის ლიტერ N15-ის 0,3 ჰა ფართობი შემოიღობა, დამუშავდა ნიადაგი. დაითესა: იფანი (35 კგ) და იმერული მუხა (280 კგ), შავი ფიჭვის (12 კგ) დათესვა განხორციელდება 2015 წლის გაზაფხულზე.

**გურია**

სუფსის სატყეოს კვარტალი N14-ის ლიტერ N12-ში 0,46 ჰა ფართობი შეიღობა, მომზადდა ნიადაგი, განხორციელდა სამელორაციო სამუშაოები, დაითესა: ჩვეულებრივი წაბლი (500 კგ); ნეკერჩხალი მინდვრის (9 კგ); მუხა იმერული (120 კგ); მუხა წაბლფოთოლა (400 კგ).

აღნიშნული სანერგეებიდან 2 წლის შემდეგ მიღებული იქნება საპროგნოზოდ 500 000 ცალი ნერგი, მიმდებარე ფართობებზე აღდგენითი სამუშაოების განსახორციელებლად.

**ტყის გაშენება**

2008 წლის აგვისტოს თვეში, რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ხანძრით განადგურდა ბორჯომის ხეობის უნიკალური ტყის მასივები.

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე (ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ჩარხისწყლის, ტბის და წაღვრის სატყეოები) ხანძარმა მოიცვა 950,9 ჰა ფართობი.

სრულად განადგურდა დაახლოებით 250 ჰა ფართობი (ტბის სატყეო, სოფელი დაბის მიმდებარე ტერიტორია), ხოლო ფართობის დარჩენილ ნაწილზეაღინიშნება სერიოზული დაზიანება.

2013 წელს ფინეთის მთავრობის დაფინანსებით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელდა კომპლექსური აღდგენითი ღონისძიებები (დარგვა, თესვა, ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა) 16,3 ჰა ფართობზე.

2013 წელს გაშენებულ ფართობზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით დამატებით მომზადდა 2 ტყის აღდგენის პროექტი.

1. 40 ჰა-ზე გაეროს განვითარების პროგრამისა და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს განსახორციელებლად;

2. 20 ჰა - ავსტრიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის მიერ განსახორციელებლად.

პროექტებმა განიცადა ცვლილებები, კერძოდ დათესვის ღონისძიებები შეიცვალა დარგვით და ასევე, შეიცვალა რიგი სახეობები და მათი პროცენტული გადანაწილება - ინვენტარიზაციით დადგენილი გახარების პროცენტის მიხედვით.

გადამუშავებული ტყის აღდგენის პროექტები შეთანხმებული იქნა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან და დამტკიცებულ იქნა სააგენტოს უფროსის ბრძანებებით.

დაპროექტებული ღონისძიებები განხორციელებული იქნა გაეროს განვითარების პროგრამისა და ავსტრიის პროექტის მიერ კონტრაქტორად დაქირავებული სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის მიერ (40 ჰა) და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ (ხელშეკრულებით დაქირავებული მუშა-ხელის საშუალებით) 20 ჰა-ზე.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელდა საჭირო რაოდენობის ნერგების შესყიდვა (საქართველოს მთავრობის განკარგულებით მინიჭებული უფლების შესაბამისად) და ხელშეკრულების მეშვეობით ადგილობრივი მუშა-ხელის დაქირავება (მათ შორის ბორჯომის რაიონში განსახლებული აფხაზეთიდან დევნილი პირები).

**2014 წელს განხორციელდა**

- 60 ჰა ფართობის გაწმენდა, ნიადაგის მომზადება და შეღობვა (40 ჰა - UNDP, 20 ჰა- ავსტრიის პროექტი;
- დარგვის ღონისძიებები (მათ შორის, 2013 წელს გაშენებული 16,3 ჰა-ს შევსება)

დარგვის სამუშაოები დაწყებული იქნა 2014 წლის 15 ოქტომბერს და დასრულდა 25 ნოემბერს. აღნიშნულ სამუშაო პერიოდში დარგული იქნა 133 898 ტყის სხვადასხვა მერქნიანი სახეობის ნერგი, კერძოდ:

**გაეროს განვითარების პრგრამის ფარგლებში (17,5 ჰა):**

**სულ: 44 000 ცალი.**

| *სახეობა* | *რაოდენობა /ცალი/* |
|---|---|
| ფიჭვი კავკასიური | 15 400 |
| ნაძვი აღმოსავლეთის | 3080 |
| სოჭი კავკასიური | 1320 |

| | |
|---|---|
| მუხა აღმოსავლეთის | 8800 |
| მუხა ქართული | 5500 |
| იფანი ჩვეულებრივი | 6600 |
| ნეკერჩხალი მინდვრის | 1320 |
| მაჟალო | 880 |
| პანტა | 880 |
| კაკალი | 220 |

გაეროს განვითარების პრგრამის ფარგლებში 2013 წლის შემოდგომით დარგული 6 ჰა. ფართობის შევსება

**სულ 5100 ცალი,** მათ შორის:

| სახეობა | ფიჭვი კავკასიური | ნაძვი აღმოსავლეთის | სოჭი კავკასიური | მუხა ქართული | იფანი ჩვეულებრივი | ნეკერჩხალი მინდვრის | კაკალი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რაოდენობა /ცალი/** | 1530 | 255 | 155 | 1020 | 1020 | 1020 | 100 |

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში 2013 წლის შემოდგომით დათესილი 6 ჰა. ფართობის შევსება

**სულ 15 000 ცალი,** მათ შორის

| სახეობა | ფიჭვი კავკასიური | ნაძვი აღმოსავლეთის | სოჭი კავკასიური | მუხა ქართული | იფანი ჩვეულებრივი | ნეკერჩხალი მინდვრის |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რაოდენობა /ცალი/** | 5250 | 1050 | 450 | 4500 | 2250 | 750 |

<u>ავსტრიის მთავრობის მიერ დაფინანსებული კლიმატის ცვლასთან ადაპტირებული მდგრადი სატყეო მეურნეობის დაგეგმარების პროექტის ფარგლებში 17,6 ჰა.</u>

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი დარგვითი ღონისძიებები გარკვეული მიზეზების გამო ვერ განხორციელდა სრულად, შესრულებული იქნა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოს მხოლოდ ნაწილი (10,6 ჰა ფართობზე), კერძოდ:

| დაგეგმილი 43 000 ცალი | | ფაქტიურად შესრულებული 25 898 ცალი | |
|---|---|---|---|
| *სახეობა* | *რაოდენობა ცალი* | *სახეობა* | *რაოდენობა ცალი* |
| ფიჭვი კავკასიური | 15 050 | ფიჭვი კავკასიური | 2300 |
| ნაძვი აღმოსავლეთის | 3010 | ნაძვი აღმოსავლეთის | 3010 |
| სოჭი კავკასიური | 1290 | სოჭი კავკასიური | 500 |
| მუხა აღმოსავლეთის | 10 750 | მუხა აღმოსავლეთის | 12 818 |
| მუხა ქართული | 6020 | მუხა ქართული | 950 |
| იფანი ჩვეულებრივი | 4300 | იფანი ჩვეულებრივი | 4300 |
| ნეკერჩხალი მინდვრის | 860 | ნეკერჩხალი მინდვრის | 300 |
| მაჟალო | 860 | მაჟალო | 860 |
| პანტა | 860 | პანტა | 860 |

ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ შესრულებული ტყის აღდგენის სამუშაო (17,5 ჰა.)
**სულ: 44 000 ცალი.**

| სახეობა | რაოდენობა /ცალი/ |
|---|---|
| ფიჭვი კავკასიური | 15 400 |
| ნაძვი აღმოსავლეთის | 3080 |
| სოჭი კავკასიური | 1320 |
| მუხა აღმოსავლეთის | 8800 |
| მუხა ქართული | 6600 |
| იფანი ჩვეულებრივი | 6160 |
| ნეკერჩხალი მინდვრის | 880 |
| მაჟალო | 880 |
| პანტა | 880 |

ნახანძრალი ტყის აღდგენის ღონისძიებების გაგრძელების უზრუნველსაყოფად **2015 წლის გაზაფხულზე დაგეგმილია:**

- ავსტრიის პროექტის მიერ საპროექტო ტერიტორიაზე დარჩენილი მონაკვეთის დარგვისა და გაშენებული ნარგაობის მოვლის ღონისძიებები;
- გაშენებული ფართობის მოვლის ღონისძიებები (UNDP/სააგენტო);
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ დამატებით აღსადგენი ტერიტორიების შესწავლა და სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა.

**საკომპენსაციო ღონისძიებები**

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკომენსაციო ვალდებულების განსაზღვრა ხდება: სპეციალური ტყითსარგებლობის განხორციელებისას (ტყითსარგებლობაში გადაცემული ფართობის ტოლფას ფართობზე), გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტით სხვადასხვა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

2014 წლის განმავლობაში დამუშავდა მასალები და განისაზღვრა სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განსახორციელებელი საკომპენსაციო ღონისძიებები 43.26 ჰა ფართობზე (20 პროექტი). მათ შორის: ტყის გაშენება - 40,49 ჰა; დროებითი ტყის სანერგის მოწყობა - 1,17 ჰა; მინერალიზებული ზოლების მოწყობა - 1,6 ჰა.

აქედან, შესაბამისი ტყის აღდგენის პროექტები სააგენტოში შესათანხმებლად წარმოადგინა 7 კომპანიამ და დამტკიცებულია სააგენტოს უფროსის ბრძანებებით. პროექტების განხორციელების პერიოდია: 2014-2019 წლები.

**2015 წელს განსახორციელებელი პრიორიტეტული მიმართულებებია:**

- ✓ ტყის დროებითი სანერგეების მოწყობა პრიორიტეტულ რეგიონებში (4 რეგიონი);
- ✓ სწრაფმზარდი სახეობებით (აკაცია) პლანტაციის გაშენება კახეთის რეგიონში 6,5 ჰა ფართობზე;
- ✓ ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებები (საპროგნოზოდ 10 ჰა);
- ✓ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2008 წელს ხანძრით დაზიანებული ტყის აღდგენის გაგრძელება - სპეციალური შესწავლა, აღდგენას დასაქვემდებარებელი პრიორიტეტული ფართობების შერჩევა, დაპროექტება, დაპროექტებული ღონსძიებების განხორციელება
- ✓ მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები (სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, კახეთი)
- ✓ ბზის კორომების სატყეო-პათოლოგიური გამოკვლევა და ბზის აღდგენის ღონისძიებები (კალმით გამრავლება);
- ✓ ჩოხატაურის სატყეო უბნის სატყეო-პათოლოგიური გამოკვლევა;
- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება (გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება 9 რეგიონში, მინერალიზებული ზოლები და სხვ)
- ✓ სასკოლო სანერგის მოწყობა სოფელ დაბასთან /UNDP/.

## 7. კანონაღსრულება და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევები

სააგენტოს მიერ საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი იქნა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 3 507 ფაქტი:

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის - 2 315 ფაქტი;
- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე - 1192 ფაქტი, რომლებიც გადაგზავნილია სამართალთამდამცავ ორგანოებში;
- ადმინისტრაციული წესით დაკისრებული ჯარიმის საერთო თანხამ შეადგინა 517 500 ლარი;
- გარემოსათვის მიყენებული ზიანის თანხამ შეადგინა **5 289 147. 38 ლარი.**

სამართალდარღვევათა სტრუქტურა

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევების უმეტესობა (60%) შედგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის შესაბამისად (უკანონო ტყითსარგებლობა, ტყითსარგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით) - 2092 ფაქტი;
- ასკ $128^2$-ე მუხლის შესაბამისად (ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევა) - 180 ( 5%) ფაქტი.
- სხვა მუხლებით (ასკ 49-ე, 51-ე, 63-ე, 64-ე, 65-ე, $66^1$ და 71-ე) – 43 ფაქტი.

*სამართალდარღვევათა სტრუქტურა (სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული) ასახულია მე-11 დიაგრამაში.*

*დიაგრამა 11. სამართალდარღვევათა სტრუქტურა, 2014წ.*




სამართალდარღვევათა გამოვლენის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით მოცემულია მე-12 დიაგრამაში.

*დიაგრამა 12. სააგენტოს მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევები, 2014 წელი*



| | ქვემო ქართლი | კახეთი | მცხეთა-მთიანეთი | შიდა ქართლი | სამცხე-ჯავახეთი | იმერეთი | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | გურია | სამეგრელო-ზემო სვანეთი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადმინისტრ. | 177 | 738 | 277 | 164 | 207 | 371 | 66 | 112 | 203 |
| სისხლის სამ. | 38 | 10 | 390 | 100 | 190 | 260 | 165 | 20 | 19 |

სააგენტოს წარმომადგენლობა საქართველოს სასამართლოებში განხორციელდა 2 960 ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეზე. აქედან 2679 საქმეზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე და 281 სისხლის სამართლის საქმეზე.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო კონტროლის სფეროში განხორციელებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია შპს „დე ენდ ვე"-ს და შპს „ვუდიმპექსი"-ს მიერ ტყითსარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემოწმებების განხორციელება. შემოწმებების შედეგად გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა - 225 500 ლარი. სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ტყითსარგებლობის ხელშეკრულებების გაუქმების თაობაზე;

2014 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე სააგენტოს თანამშრომლების მონაწილეობით განხორციელდა 61 ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის შემოწმება, მათგან 1 შემოწმება შეჩერდა კლიმატური პირობების გაუარესების გამო.

შემოწმების შედეგების მიხედვით:

- 2 შემოწმების მასალებით, ლიცენზიის პირობების დარღვევა არ გამოვლინდა;
- 20 შემოწმების შედეგებით, გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;

- 39 საქმე შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, რომლებიც გადაეცა ან გადაეცემა საგამოძიებო ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის;

შემოწმების პროცესში გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები:

- 18 შემოწმების პროცესში - ტყეკაფის არასწორად გამოყოფა;
- 39 შემოწმების პროცესში - ტყეკაფის გაუწმენდაობა;
- 47 შემოწმების პროცესში - უკანონო ჭრის ფაქტები.

შემოწმების შედეგების მიხედვით, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიანტების მიერ ლიცენზიის პირობების დარღვევისა და ხე-ტყის უკანონო მოპოვებით გარემოსთვის მიყენებულმა დაანგარიშებულმა ზიანმა, მიმდინარე მონაცემებით, 2 897 562 ლარი შეადგინა, ხოლო უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის მოცულობამ - 12 397,44 კუბ.მ.

2014 წლის მაისში სააგენტოში შეიქმნა ინფორმაციული ანალიზისა და მონიტორინგის დეპარტამენტი. დეპარტამენტის ერთერთ ფუნქციას წარმოადგენს სამსახურებრივი შემოწმებების განხორციელება.

დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებების შედეგად შედგენილი იქნა 593 დასკვნა 631 სააგენტოს თანამშრომლის მიმართ. აქედან დისციპლინური პასუხისგებლობის ზომა ,,შენიშვნა“ გამოეცხადა 267 თანამშრომელს, ,,გაფრთხილება“ – 185 თანამშრომელს, 125 თანამშრომელს დაუკავდა ხელფასი, ხოლო 8 გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

| N | თვე | დასკვნა | პირი | შენიშვნა | გაფრთხილება | ხელფასის დაკავება | განთავისუფლება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაისი | 15 | 20 | 8 | 8 | 2 | 1 |
| 2 | ივნისი | 43 | 49 | 21 | 7 | 19 | 2 |
| 3 | ივლისი | 52 | 57 | 34 | 15 | 3 | 1 |
| 4 | აგვისტო | 40 | 40 | 20 | 15 | 4 | 1 |
| 5 | სექტემბერი | 81 | 82 | 29 | 22 | 22 | 1 |
| 6 | ოქტომბერი | 123 | 125 | 50 | 39 | 19 | 2 |
| 7 | ნოემბერი | 146 | 154 | 64 | 44 | 38 | 0 |
| 8 | დეკემბერი | 93 | 104 | 41 | 35 | 18 | 0 |
| | სულ: | 593 | 631 | 267 | 185 | 125 | 8 |

## 8. მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა

საქართველოს ტყის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, სააგენტოში 2011 წელს ამოქმედდა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა, რომელშიც აისახება ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით მერქნული რესურსების სარგებლობის თაობაზე, მათ შორის:

- სოციალური მიზნებისთვის გამოყოფილი ტყეკაფების მონაცემები (მდებარეობა, პირველადი აღრიცხვა და სხვ.);
- სოციალური მიზნებისთვის ათვისებული მერქნული რესურსის მონაცემები;
- კომერციული მიზნებისათვის გამოყოფილი ტყეკაფების და ათვისებული მერქნული რესურსის მონაცემები;
- სპეციალური დანიშნულების მიზნებისათვის გამოყოფილი ტყეკაფების და ათვისებული მერქნული რესურსის მონაცემები;
- მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი ობიექტების (სახერხი საამქროების) ელექტრონული რეგისტრაციისა და ანგარიშგების მონაცემები;

ელექტრონულ სისტემაში ასევე აისახება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტებისა და სპეციალური ფირნიშების პასუხისმგებელ პირებზე გაცემისა და უკან დაბრუნების მონაცემები.

2013 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მერქნული რესურსით უზრუნველყოფის დარეგულირების მიზნით „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები, რითაც დარეგულირდა მერქნული რესურსის გაცემის საკითხები.

ამ ცვლილებების შესაბამისად მე-2 ხარისხის ხე-ტყის მიღების მიზნით, თვითმართველობის ორგანოებმა სააგენტოში უნდა წარმოადგინონ ფაქტობრივად მაცხოვრებელი კომლის (ოჯახის) წარმომადგენლის (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) სიები.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა ფაქტობრივად მაცხოვრებელი კომლების (ოჯახის) წარმომადგენლების ერთიანი ბაზა - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადმოგზავნილი ფაქტობრივად მაცხოვრებელი კომლის (ოჯახის) წარმომადგენლის სიებს ჩაუტარდა ანალიზი, მოხდა კომლის (ოჯახის) წარმომადგენლის (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

2013-2014 წლის განმავლობაში ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდა 702 185 კომლის წარმომადგენელი (მ.შ. აჭარის რეგიონიდან - 57 494). ამათგან 2014 წლის განმავლობაში სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდიდან ხე-ტყის დამზადების ბილეთი შეიძინა 82 026 (12,7 %), ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი გაიცა 73 484 პირზე (11,4 %). გაცემული ხე-ტყის დამზადების ბილეთების ათვისებამ შეადგინა 89,6% (დანართი 3).

შემუშავდა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 აპრილის N118 ბრძანებით დამტკიცდა „მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქცია“.

ასევე, შემუშავდა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო;
დაინერგა მომხმარებლებისა და უფლებების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდული (ePassport), რომლის საშუალებითაც იმართება სისტემის მომხმარებელთა უფლებები, კერძოდ, რედაქტირებისა და დათვალიერების უფლებები სხვადასხვა მოდულის მიხედვით;
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან თანამშრომლობით მომზადდა ტექნიკური დავალება მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამამუშავებელი ობიექტების (სახერხი საამქრო) მართვის მოდულის განვითარებისთვის, სადაც უნდა აღირიცხოს სახერხი საამქროების მიერ მორების მიღებისა და გადამუშავების შესახებ ყოველდღიური ინფორმაცია.
ელექტრონული სისტემიდან ანგარიშების მიღების მიზნით შემუშავდა და მომზადდა ანგარიშგების ფორმები გამოყოფილი და გაცემული ხე-ტყის შესახებ.

**2015 წლისთვის იგეგმება:**

- მრგვალი ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტების (სახერხი საამქრო) მართვის მოდულის ცვლილება/განვითარება და ტესტირება.
- ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებების ელექტრონული მოდულის ტექნიკური დავალების შემუშვება, სადაც მოხდება განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების ონლაინ რეჟიმში აღრიცხვა;
- ანგარიშგების მოდულის განვითარება ელექტრონული სისტემიდან სხვადასხვა სახის ანგარიშების მიღების მიზნით.

## 9. ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება

**საკადრო პოლიტიკა**

საანგარიშო პერიოდში სააგენტოში ამოქმედდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; დაინერგა ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა (eHRMS). საკადრო უზრუნველყოფის მიმართულებით მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად სააგენტოში რვა ეტაპად გამოცხადდა კონკურსი ვაკანტურ თანამდებობებზე; საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე მოხდა შერჩეული კონკურსანტების დასაქმება ან/და თანამდებობრივი ცვლილებები.

2014 წლის პერიოდში სააგენტოს თანამშრომლების მიმართ გამოყენებულ იქნა 758 დისციპლინალური პასუხისმგებლობის ზომა და გამოიცა შესაბამისი ბრძანებები.

**დოკუმენტბრუნვა**

2014 წლის განმავლობაში სააგენტოს კანცელარიიდან გასულია - 8187, შემოსულია 19037 კორესპონდენცია, რეგისტრირებულია 9587 მოხსენებითი, 2779 სამსახურებრივი ბარათი, მოქალაქეთა 4815 და თანამშრომელთა 164 განცხადება.

საანგარიშო პერიოდში სააგენტოსგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია (65 მოთხოვნა) მიწოდებულ იქნა დადგენილი ვადებში.

**სწავლებები და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა**

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტი პროცესის ხელშეწყობის მიზნით ჩამოყალიბდა შიდა რეზერვი, სამომავლოდ სწავლებების ჩატარების უზრუნველსაყოფად. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის დაფინანსებით და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ხელშეწყობით სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მომსახურე პერსონალისთვის პროფესიული მოღვაწეობისა და ტექნიკური უნარების გაუმჯობესებისათვის ჩატარდა სწავლება ტყის მცველების მწვრთნელთა მომზადების მიზნით;

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის დაფინანსებითა და სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ხელშეწყობით ეროვნული სსიპ სატყეო სააგენტოს მიერ შეიქმნა სპეციალური სასწავლო კურსი ტყის ინვენტარიზაციის სპეციალისტების მოსამზადებლად. სააგენტოს თანამშრომლების მიერ გადამზადდა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სატყეო პროფილის ბაკალავრები და მაგისტრები (20 სპეციალისტი). ჩატარდა თეორიული და საველე სწავლება

**საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება**

2014 წლის განმავლობაში განხორციელდა სასწავლო ტურები ავსტრიასა და გერმანიაში, ტყეების მართვის საუკეთესო პრაქტიკის ადგილზე გაცნობის მიზნით. მათ შორის:

- გზების დაგეგმვისა და კარტოგრაფიულ სქემებზე გზის პროექტის დატანის პრინციპების შესწავლა სააქციო საზოგადოება „ავსტრიის ტყეები“ (OBF)

სატყეო გზების მშენებლობის საკითხები. (OBF/BFW)

**საერთაშორისო თანამშრომლობა**

### 2014 წლის 21 თებერვალი (თბილისი)

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (MENRP), სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს (NFA), ავსტრიის განვითარების სააგენტოსა (ADA) და შპს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის ხელი მოეწერა „საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმის ხელშეწყობა“ ურთიერთგაგების მემორანდუმს.

მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია ეროვნული სატყეო პროგრამის შემუშავება, სამინისტროს ინსტიტუციური გაძლიერება, სატყეო სექტორში ადამიანური რესურსების გაძლიერება, ქვეყნის ტერიტორიაზე ტყის მონიტორინგის სისტემის განვითარება, სამოდელო ტერიტორიებზე მდგრადი სატყეო მართვის განვითარება, საქართველოს ტყეების ეკონომიკური ფასეულობის გაზრდის ხელშეწყობის ღონისძიებები და სხვა;

### 2014 წლის 12 სექტემბერი (თბილისი)

ოთხმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა პოზნანის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტის, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შორის. მემორანდუმის მიზანია მხარეებს შორის სამეცნიერო და პრაქტიკული ურთიერთთანამშრომლობის გაფართოება, პრაქტიკოს თანამშრომლებისთვის გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ლექციების ჩატარება, ასევე სიმპოზიუმებში, პრაქტიკულ სწავლებაში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

### 2014 წლის 5 ივნისი (ზაზალეთი)

ცენტრალური ევროპის 13 ქვეყნის მონაწილეობით გაიმართა კონფერენცია „საქართველოს სატყეო სექტორის მიმდინარე რეფორმა და სამომავლო თანამშრომლობის საკითხების განხილვა" კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა ყველა იმ ქვეყნის გამოცდილების გაზიარება, რომელთაც რეფორმების საშუალებით მიაღწიეს მდგრადი ტყის მართვის სისტემის დანერგვას.

2014 წლის 13-21 მაისი პოზნანი, პოლონეთი

კონფერენცია ,,თანამშრომლობა სატყეო და ბუნების დაცვის სფეროებში'' საქართველო - პოლონეთის მხარეების მონაწილეობით გამართული კონფერენციის მიზანს წარმოადგენდასატყეო და ბუნების დაცვის სფეროში სამომავლო თანამშრომლობის გზების დასახვა და გამოცდილების გაზიარება.

## 2014 წლის 4 მაისი (თბილისი)

შეხვედრა მსოფლიოს გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებული პროექტის „Global Forest Watch" მისიის წარმომადგენლებთან. მისიის წევრების და სააგენტოს თანამშრომლების მიერ განხილულ იქნა ტყის მონიტორინგისთვის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემებისა და დისტანციური ზონდირების ტექნოლოგიების გამოყენების სისტემების დანერგვის შესაძლებლობები

**საზოგადოებასთან ურთიერთობა, ინფორმირებულობა და საზოგადოებრივი აქტივობები**

მოსახლეობის ინფორმირებულობის, მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობის და საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, სააგენტო უზრუნველყოფდა დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების გაშუქებას, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების (მაგ. ტყის მართვის გეგმების დამტკიცება) საჯარო განხილვას და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ სხვადასხვა აქციებისა და ღონისძიებების ორგანიზება/მონაწილეობას. მათ შორის 2014 წლის განმავლობაში აღსანიშნავია:

- ✓ 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძება - წარდგენილი იქნა სადემონსტრაციო სტენდი;
- ✓ მეტყევის პროფესიული დღის აღსანიშნავი ღონისძიება - წლების შემდეგ პირველად აღინიშნა და მინისტრის მიერ დაჯილდოვდნენ დარგში მოღვაწე პროფესიონალები;
- ✓ ბზისა და საახალწლო ნაძვის ხეების მოჭრის წინააღმდეგ პრევენციული კამპანიები;
- ✓ პრემიერის ინიცირებული აქცია „მწვანე მომავალი“.

პერმანენტულად ტარდება სხვადასხვა მედია საშუალებებში სააგენტოს საქმიანობის გაშუქების მონიტორინგი და მის საფუძველზე კეთდება სააგენტოს საქმიანობის საზოგადოებისთვის მიწოდების ხარისხის და პოზიტიურობის ანალიზი;

*დანართი 1*

**ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ხელშეკრულებების შესახებ**

| N | ხელშეკრულების N თარიღი | ფართობი /მ²/ | მდებარეობა | ხელშკრულება გაფორმებულია | მოქმედების ვადა | საკომპენსაციო ფართობი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | N01 13.01.2014წ. | 5438 | მცხეთა-მთიანეთი, მცხეთა-დიდგორის სატყეო უბნის ძეგვის სატყეო | შ.პ.ს "ნიჩბისი +" | 13.01.2014წ.- 13.11.2014წ. | აქვს |
| 2 | N01 14.01.2014წ. | 20347 | რაჭა ლეჩხუმი ქვ. სვანეთი, ამბროლაურის სატყეო უბნის სადმელისა და ღვიარას სატყეოები | შ.პ.ს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" | 1 წლის ვადით | აქვს |
| 3 | N01 20.01.2014წ. | 26535,4 | მცხეთა-მთიანეთი, ბარისახოს სატყეო უბნის ჭოპორტის სატყეოს კვ.62 ლიტ.2ა და კვ.68 ლიტ.3 | შ.პ.ს "საქართველოს სამელიორაციო სისტემების კომპანია" | 20.01.2014- 20.06.2014წ. | აქვს |
| 4 | N02 31.01.2014წ. | 3728 | ქვემო ქართლი, წერაქვის სატყეოს ყოფილი საკ. ტყე | „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო" | 49 წლის ვადით | აქვს |
| 5 | N03 31.01.2014წ. | 4073 | ქვემო ქართლი, წალკის სატყეო | „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო" | 49 წლის ვადით | აქვს |
| 6 | N04 31.01.2014წ. | 4327 | ქვემო ქართლი, წალკის სატყეო | „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო" | 49 წლის ვადით | აქვს |
| 7 | N05 1.01.2014წ. | 799 | ქვემო ქართლი, წერაქვის სატყეოს ყოფილი საკ. ტყე | „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო" | 49 წლის ვადით | აქვს |
| 8 | N01 14 02 2014წ. | 107824 | გურია, ლანჩხუთის და ოზურგეთის სატყეო უბნები | შ.პ.ს "ვი პი ჯორჯია" | 14.02.2014- 01.04.2014წ. | აქვს |

| N | ხელშეკრულების N თარიღი | ფართობი /მ²/ | მდებარეობა | ხელშკრულება გაფორმებულია | მოქმედების ვადა | საკომპენსაციო ფართობი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შეთანხმების აქტი N02 01.04.2014წ.(წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შესახებ) | 107825 | გურია, ლანჩხუთის და ოზურგეთის სატყეო უბნები | შ.პ.ს "ვი პი ჯორჯია" | 14.02.2014-01.04.2014წ. | აქვს |
| 9 | N01 14 02 2014წ. | 168054 | სამეგრელო ზ/სვ., მესტიის სატყეო უბნის მესტიისა და იფარის სატყეო | შ.პ.ს "თეთნულდი დეველოფმენთი" | 49 წლის ვადით | არ აქვს |
| | შეთანხმების აქტი N02 18 02 2014წ. (წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შესახებ) | 168054 | სამეგრელო ზ/სვ., მესტიის სატყეო უბნის მესტიისა და იფარის სატყეო | შ.პ.ს "თეთნულდი დეველოფმენთი" | 49 წლის ვადით | არ აქვს |
| 10 | N02 27 02 2014წ. | 5239 | სამცხე-ჯავახეთი, ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის ჭობარეთის სატყეოს კვ.11 | შ.პ.ს "ენერგოტრანსი" | 14.02.2014-27.02.2015 | არ აქვს |
| 11 | N01 05.03.2014წ. | 754,16 | სამეგრელო ზ/სვ., წალენჯიხის სატყეო უბნის ჯვარის სატყეოს კვ.13 ლიტ.5 14ა; კვ.35 ლიტ.2 და მის მიმდებარედ საკ.ტყე | შ.პ.ს "მაქსანია 2014" | 49 წლის ვადით | აქვს |
| 12 | N01 19.03.2014წ. | 5060 | ქვემო ქართლი, ბოლნისის სატყეო უბნის კაზრეთის სატყეოს მიმდებარედ ყოფ. საკ. ტყე | შ.პ.ს "RMG Gold" | 19.03.2014-10.04.2014 | დროებითი სანერგის მოწყობა |

| N | ხელშეკრულების N თარიღი | ფართობი /მ²/ | მდებარეობა | ხელშკრულება გაფორმებულია | მოქმედების ვადა | საკომპენსაციო ფართობი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | N02 21.03.2014წ. | 44697,5 | მცხეთა-მთიანეთი, მცხეთა-დიდგორის ს/უ | ენერგო პრო ჯორჯია | 49 წლის ვადით | არ აქვს |
| 14 | N01 28.03.2014წ. | 56 | შიდა ქართლი, ხაშურის სატყეო უბნის, სურამის სატყეოს კვ.15.ლიტ.2 | ფ/პ გიორგი აბესაძე | 28.03.2014-28.03.2015 | აქვს |
| 15 | N04 2.04.2014წ. | 1509840 | ქვემო ქართლი, ბოლნისი სატყეო უბნის კაზრეთის სატყეო | შ.პ.ს "კავკასიის სამთო ჯგუფი" | 02.04.2014წ-10.08.2016წ. | აქვს |
| 16 | N04 10.04.2014წ. | 14321,77 | მცხეთა-მთიანეთი ფასანაურის ს/უ, მჭადიჯვრის სატყეოს კვ.32 და ჟინვალის სატყეოს კვ.19 -ის მიმდებარედ ყოფ. საკ. ტყე | სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემები" | 10.04.2014წ-10.04.2015წ. | არ აქვს |
| 17 | N05 07.05.2014წ. | 2839044 | ქვემო ქართლი, ბოლნისისა და წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბანი | შ.პ.ს "კავკასიის სამთო ჯგუფი" | 02.04.2014წ-01.10.2016წ. | აქვს |
| 18 | N03 22.05.2014წ. | 3510,02 | ქვემო ქართლი, გარდაბან-მარნეულის სატყეო უბნის წერაქვის სატყეოს მიმდებარედ ყოფილი საკ.ტყე | შ.პ.ს "ენერგოტრანსი" | 22.05.2014წ - 16.12.2014წ. | არ აქვს |
| 19 | N03 28.05.2014წ. | 36767 | ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე | სს"ენერგო პრო ჯორჯია" | 49 წლის ვადით | არ აქვს |
| 20 | N06 04.06.2014წ. | 36816 | ქვემო ქართლი, ბოლნისის სატყეო უბანის კაზრეთის სატყეოს კვ.23 ლიტ.27.28.29 | შ.პ.ს "კავკასიის სამთო ჯგუფი" | 04.06.2014წ-01.09.2014წ. | აქვს |

| N | ხელშეკრულების N თარიღი | ფართობი /მ²/ | მდებარეობა | ხელშკრულება გაფორმებულია | მოქმედების ვადა | საკომპენსაციო ფართობი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 21 | N02 04.06.2014წ. | 5060 | ქვემო ქართლი, ბოლნისის სატყეო უბნის კაზრეთის სატყეოს მიმდებარედ ყოფ. საკ. ტყე | შ.პ.ს "GMG Gold" | 06.06.2014-1.07.2014 | დროებითი სანერგის მოწყობა |
| 22 | N01 05.06.2014წ. | 988 | მცხეთა-მთიანეთი, თიანეთის ს/უ-ის ზარიძეების სატყეოს კვ.25 ლიტ.14 | თიანეთის მუნიციპალიტეტი | 05.06.2014--05.06.2015 | არ აქვს |
| 23 | N03 16.09.1014წ. | 802316 | ქვემო ქართლი, ბოლნისის სატყეო უბნის კაზრეტის სატყეო და მის მიმდებაფრედ ყოფ. საკ. ტყე | შ.პ.ს "GMG Gold" | 16.09.2014-31.12.2014წ. | აქვს |
| 24 | N05 13.10.2014წ. (შეთანხმების აქტი) | 18129,89 | იმერეთი ზესტაფონ-ხარაგაულის სატყეო უბნის კვალითის სატყეოს მიმდებარედ არსებული ყოფილი საკ.ტყე | სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" | 49 წლის ვადით | არ აქვს |
| 25 | N02 21.10.2014წ. | 5287 | მცხეთა-მთიანეთი, მცხეთა დიდგორის სატყეო უბნის ძეგვის სატყეო და მიდებ. საკ ტყე | შ.პს" ნიჩბისი ქვა +" | 21.10.-2014-21.10.2015წ. | აქვს |
| 26 | N01 30.10.2014წ. | 17012 | შიდა ქართლი, ხაშურის ს/უ, ძამის სატყეო და მიმდებარედ საკ. ტყე | შ.პ.ს "კავკასუს მინერალ გრუპ" | 11 თვის ვადით | აქვს |
| 27 | N01 06.11.2014წ. | 7805 | იმერეთი, წყალტუბოს სატყეო უბნის სამტრედიის სატყეო | შ.პ.ს "მზიანი" | 11 თვის ვადით | აქვს |
| 28 | N01 19.11.2014წ. | 1157 | სამცხე-ჯავახეთი ბორჯომ ბაკურიანის ს/უ, კვ.15 ლიტ.5 და ლიტ.6 | შ.პ.ს "თრუსო" | 1 წლამდე | აქვს |

| N | ხელშეკრულების N თარიღი | ფართობი /მ²/ | მდებარეობა | ხელშკრულება გაფორმებულია | მოქმედების ვადა | საკომპენსაციო ფართობი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 29 | N01 22.12.2014წ. | 50 | მცხეთა-მთიანეთი, მცხეთა-მთიანეთის ს/უ ლისის სატყეო | ფ/პ შოთა ირემაშვილი | 01.03.2015წ. | არ აქვს |

*დანართი 2*

*ფერომონიანი მწერსაჭერების მონიტორინგის მონაცემები*

| მონიტორინგი N | სატყეო უბანი | | | |
|---|---|---|---|---|
| | ბორჯომ-ბაკურიანი 3669 მწერსაჭერი | ახალციხე 150 მწერსაჭერი | ადიგენი 900 მწერსაჭერი | ასპინძა-ახალქალაქი 250 მწერსაჭერი |
| 1 | 639 560 | 36 000 | 296 000 | 26 170 |
| 2 | 433 000 | 29 000 | 30 470 | 53 700 |
| 3 | 268 000 | 5 000 | 270 000 | 23 600 |
| 4 | 258 000 | 6 000 | 72 000 | 27 000 |
| 5 | 402 000 | 18 000 | 25 000 | 14 000 |
| 6 | 281 000 | 5 000 | 75 100 | 25 000 |
| 7 | 347 000 | 9 000 | 59 500 | 30 000 |
| 8 | 81 000 | 5 000 | 25 000 | 21 000 |
| 9 | 45 000 | 9 000 | 38 000 | 3 000 |
| 10 | 68 000 | 6 000 | 16 000 | 10 000 |
| 11 | 120 000 | 9 000 | 26 000 | 17 000 |
| 12 | 88 000 | 11 000 | 32 000 | 40 000 |
| 13 | 88 000 | 3 000 | 17 000 | 4 000 |
| 14 | 110 000 | 4 000 | 13 000 | 7 000 |
| 15 | 36 000 | 1 500 | 6 000 | 1 500 |
| 16 | 49 000 | 1 100 | 7 000 | 2 500 |
| 17 | 16 500 | 1 500 | 6 000 | 2 500 |
| 18 | 18 700 | 700 | 3 400 | 1 800 |
| სულ | 3 348 760 | 159 800 | 1 017 470 | 309 770 |
| სულ რეგიონში | | 4 835 800 | | |

*დანართი 3*

*კომლის წარმომადგენელთა რაოდენობა*

| რეგიონი | უწყება | სულ | 2014 წელს ბილეთი შეძენილი აქვს | | 2014 წელს დოკუმენტი გაიტანა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | % | სულ | % |
| გურია | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 12 117 | 689 | 5,7 | 641 | 5,3 |
| | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 19 616 | 399 | 2,0 | 366 | 1,9 |
| | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია | 3 159 | 1 | 0,0 | 1 | 0,0 |
| | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 7 554 | 512 | 6,8 | 474 | 6,3 |
| | სულ | 42 446 | 1 601 | 3,8 | 1 482 | 3,5 |
| იმერეთი | ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 8 571 | 778 | 9,1 | 733 | 8,6 |
| | ვანის  მუნიციპალიტეტის გამგეობა | 7 088 | 67 | 0,9 | 57 | 0,8 |
| | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 14 210 | 955 | 6,7 | 797 | 5,6 |
| | თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 14 542 | 689 | 4,7 | 611 | 4,2 |
| | სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 8 566 | 84 | 1,0 | 39 | 0,5 |
| | საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 18 104 | 1 776 | 9,8 | 1 646 | 9,1 |
| | ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 10 413 | 1 193 | 11,5 | 982 | 9,4 |
| | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა | 17 678 | 353 | 2,0 | 333 | 1,9 |
| | ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 16 401 | 1 964 | 12,0 | 1 593 | 9,7 |
| | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 13 415 | 1 304 | 9,7 | 1 083 | 8,1 |
| | ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 10 191 | 1 042 | 10,2 | 958 | 9,4 |
| | სულ | 139 179 | 10 205 | 7,3 | 8 832 | 6,3 |
| კახეთი | ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 10 472 | 3 072 | 29,3 | 2 791 | 26,7 |
| | გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 21 144 | 3 533 | 16,7 | 3 245 | 15,3 |
| | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა | 4 210 | 126 | 3,0 | 117 | 2,8 |
| | თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 12 359 | 4 302 | 34,8 | 3 992 | 32,3 |
| | თელავის მუნიციპალიტეტის მერია | 1 056 | 578 | 54,7 | 559 | 52,9 |
| | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 17 969 | 2 607 | 14,5 | 2 385 | 13,3 |
| | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა | 15 064 | 2 742 | 18,2 | 2 436 | 16,2 |
| | სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 5 749 | 235 | 4,1 | 181 | 3,1 |
| | ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 11 661 | 2 674 | 22,9 | 2 427 | 20,8 |
| | სულ | 99 684 | 19 869 | 19,9 | 18 133 | 18,2 |
| მცხეთა-მთიანეთი | ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 2 662 | 327 | 12,3 | 318 | 11,9 |
| | დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 12 778 | 3 428 | 26,8 | 3 031 | 23,7 |
| | თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 7 229 | 2 100 | 29,0 | 1 817 | 25,1 |
| | მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 14 010 | 3 284 | 23,4 | 3 097 | 22,1 |
| | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია | 38 | 12 | 31,6 | 11 | 28,9 |
| | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 16 | 0 | 0,0 | 0 | 0,0 |
| | სულ | 36 733 | 9 151 | 24,9 | 8 274 | 22,5 |

| რეგიონი | უწყება | სულ | 2014 წელს ბილეთი შეძენილი აქვს | | 2014 წელს დოკუმენტი გაიტანა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | % | სულ | % |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 5 776 | 1 644 | 28,5 | 1 522 | 26,4 |
| | ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია | 16 | 9 | 56,3 | 8 | 50,0 |
| | ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 2 727 | 620 | 22,7 | 571 | 20,9 |
| | ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 4 286 | 996 | 23,2 | 891 | 20,8 |
| | ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 4 976 | 1 088 | 21,9 | 1 040 | 20,9 |
| | სულ | 17 781 | 4 357 | 24,5 | 4 032 | 22,7 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 8 157 | 134 | 1,6 | 132 | 1,6 |
| | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 32 339 | 188 | 0,6 | 144 | 0,4 |
| | მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 15 825 | 954 | 6,0 | 889 | 5,6 |
| | მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 3 678 | 218 | 5,9 | 132 | 3,6 |
| | სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 12 489 | 342 | 2,7 | 319 | 2,6 |
| | ქალაქ ფოთის მერია | 522 | 110 | 21,1 | 101 | 19,3 |
| | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა | 8 329 | 199 | 2,4 | 158 | 1,9 |
| | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 13 068 | 196 | 1,5 | 176 | 1,3 |
| | ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 12 287 | 1 396 | 11,4 | 1 247 | 10,1 |
| | სულ | 106 694 | 3 737 | 3,5 | 3 298 | 3,1 |
| სამცხე-ჯავახეთი | ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 6 681 | 1 839 | 27,5 | 1 391 | 20,8 |
| | ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 3 755 | 1 300 | 34,6 | 1 194 | 31,8 |
| | ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 14 119 | 1 592 | 11,3 | 1 491 | 10,6 |
| | ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 8 966 | 2 402 | 26,8 | 2 175 | 24,3 |
| | ახალციხისმუნიციპალიტეტისმერია | 3 964 | 278 | 7,0 | 249 | 6,3 |
| | ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 7 699 | 2 734 | 35,5 | 2 298 | 29,8 |
| | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 5 326 | 181 | 3,4 | 172 | 3,2 |
| | სულ | 50 510 | 10 326 | 20,4 | 8 970 | 17,8 |
| ქვემო ქართლი | ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 9 837 | 2 259 | 23,0 | 2 048 | 20,8 |
| | გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 22 028 | 879 | 4,0 | 781 | 3,5 |
| | დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 6 957 | 2 291 | 32,9 | 2 016 | 29,0 |
| | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა | 10 980 | 2 916 | 26,6 | 2 568 | 23,4 |
| | მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 17 899 | 1 856 | 10,4 | 1 741 | 9,7 |
| | წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 6 591 | 1 348 | 20,5 | 1 130 | 17,1 |
| | სულ | 74 292 | 11 549 | 15,5 | 10 284 | 13,8 |
| შიდა ქართლი | გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 19 514 | 2 323 | 11,9 | 1 979 | 10,1 |
| | კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 17 795 | 2 737 | 15,4 | 2 533 | 14,2 |
| | ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 17 830 | 2 829 | 15,9 | 2 696 | 15,1 |

*კომლის წარმომადგენელთა რაოდენობა*

| რეგიონი | უწყება | სულ | 2014 წელს ბილეთი შეძენილი აქვს | | 2014 წელს დოკუმენტი გაიტანა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | % | სულ | % |
| | ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 19 274 | 3 137 | 16,3 | 2 804 | 14,5 |
| | სულ | 74 413 | 11 026 | 14,8 | 10 012 | 13,5 |
| თბილისი | ქალაქ თბილისის მერია | 2 959 | 205 | 6,9 | 167 | 5,6 |
| | სულ | 2 959 | 205 | 6,9 | 167 | 5,6 |
| სულ | | 644 691 | 82 026 | 12,7 | 73 484 | 11,4 |